ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21

2013 წლის 6 სექტემბერი

ქ. ქარელი

,,ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 27 ივლისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 27 ივლისის №9 დადგენილებით (სსმ, №7, 06/08/2010; 010250040.35.144.000111) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. საკრებულოს კომისიები იქმნება მხოლოდ საკრებულოს წევრთაგან“;

ბ) დებულების 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — პაატა ღვინიაშვილი